

თიბისი ბანკმა კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება და მაღალი ხარისხის სერტიფიკატი მიიღო

პრესრელიზი

თბილისი, 17 ივნისი, 2011წ.- კომერცბანკმა (COMMERZBANK) თიბისი ბანკი დაასახელა საუკეთესო ბანკად მაღალი ხარისხით შესრულებული სავალუტო გადარიცხვებისა და საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების სფეროში წარმატებული ბიზნეს-ურთიერთობებისათვის და „Trade Finance Award 2010“ სერტიფიკატი გადასცა.

2011 წლის დასაწყისიდან, ეს არის უკვე მეორე მაღალი ხარისხის სერტიფიკატი, რომელიც თიბისი ბანკს მიენიჭა. 13 ივნისს დოიჩე ბანკმა (Deutsche Bank) თიბისი ბანკი, კიდევ ერთხელ დაასახელა საუკეთესო ბანკად სავალუტო გადარიცხვების მაღალი ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით და „2010 USD STP Excellence Award“ სერტიფიკატი გადასცა. დღეს კი, ბანკმა კიდევ ერთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის - კომერცბანკის აღიარება და ხარისხის უმაღლესი ჯილდო მოიპოვა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თიბისი ბანკი სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

ხარისხის სერტიფიკატის მინიჭება ხდება წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით და ითვალისწინებს, როგორც სავალუტო დავალებების ეფექტურ განხორციელებას, ასევე შესრულებული გადარიცხვების რაოდენობას.

STP (Straight Through Payments) წარმოადგენს სავალუტო დავალებას, რომელიც ჩამოყალიბებულია სვიფტის მოთხოვნების შესაბამისად და სრულდება ავტომატურად, კორესპონდენტი ბანკის მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B+ and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba3

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, აშშ-ს მსხვილი ბანკი, ინვესტიციების მართვის ბრიტანული კომპანია და ქართველი კერძო პირები.